

**მე-8 - მე-11 პერიოდული ანგარიშების განხილვასთან დაკავშირებით მომზადებული
ალტერნატიული ანგარიში, საქართველოს მიერ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის
აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის შესრულების თაობაზე**

მომზადებულია რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 108-ე სესიისთვის

2022 წლის 14 ნოემბერი - 2 დეკემბერი

2022 წლის 15 ოქტომბერი

**ინფორმაცია საქართველოში მცხოვრები ბოშებისა და ბოშების მსგავსი ჯგუფების
მდგომარეობის შესახებ**

კონტექსტი:

დისკრიმინაციასთან ბრძოლის მიმართულებით საქართველოს მოწინავე კანონმდებლობა აქვს. ეს გამოიხატება, როგორც 2014 წელს, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მიღებული ყოვლისმომცველი კანონით, ასევე, დისკრიმინაციის აკრძალვის თაობაზე მიღებული სხვა კანონებით. მათ შორის არის, კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ (მუხლი 6.1); კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ (მუხლი 6.1); კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ (მუხლი 13.3) და კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ (მუხლი 3.2). ასევე, სისხლის სამართლის კოდექსში წარმოდგენილი ზოგადი თუ სპეციალური დებულებები, თანასწორობის პრინციპის დარღვევისა და რასობრივი დისკრიმინაციისთვის დაწესებული სადამსჯელო ზომების შესახებ.

თუმცა, ამავედროულად, აღსანიშნავია, რომ იმპლემენტაციის ნაწილში, საქართველოს ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობა და შესაბამისი სამთავრობო პროგრამები უკეთესის სურვილს ტოვებს. პირველ რიგში, თავად ანტიდისკრიმინაციულ კანონში არ არის განსაზღვრული, ხელისუფლების მიერ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული კონკრეტული ქმედებები; ასევე არ არის ჩადებული

ანტიდისკრიმინაციული ზომების გატარების ეფექტური მექანიზმები. ამასთან, არ არსებობს სანქციონების მექანიზმი დისკრიმინაციული ხასიათის ქმედებებთან გასამკლავებლად.

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის იმპლემენტაციის ფარგლებში, საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა სახელმწიფო სტრატეგია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის შესახებ; ასევე, დამტკიცდა 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა, რის შედეგადაც მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატება, კერძოდ, ბოშური მოსახლეობის დოკუმენტაციის საკითხებში. თუმცა, არასაკმარისი ფინანსური რესურსებისა და სახელმწიფოს მიერ უმცირესობათა სხვა უფლებების სუსტი მხარდაჭერის გამო, ამ სფეროში ინიციატივათა უმეტესი ნაწილი თავად ამ საზოგადოებების, არაკომერციული ორგანიზაციებისა და აქტივისტების დიდი მხარდაჭერით ვითარდება.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები კვლავ განიცდიან დისკრიმინაციას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში; სწორედ ამის შედეგია მათი სოციალური დაუცველობა და უკიდურესი სიღარიბე, საქართველოში დღეს არსებული რთული ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე. უნისეფის მონაცემების თანახმად, (2017წ) საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა წვრილ ფერმერთა 19,6%, საერთო მოსახლეობის 21,7% , ბავშვების 27,6% და პენსიონერთა 17,6% ცხოვრობს. ბავშვთა სიღარიბის დონე განსაკუთრებით მაღალია საკუთარი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთის მქონე მოსახლეობაში, ანუ სოფლის მაცხოვრებელთა შორის. ყოველი მეხუთე ცხოვრობს ისეთ საყოფაცხოვრებო პირობებში, რომ მისი მინიმალური მოთხივნილებებიც კი არ არის გათვალისწინებული. ორგანიზაციის „საზოგადოებრივი ურთიერთობების საქართველოში“- “NPI/CRBC,, (Public Attitudes in Georgia) 2019 წლის კვლევის თანახმად, რესპოდენტთა 61% დაუსაქმებელია; ამასთან, ეთნიკურ უმცირესობათა დასახლებებში ეს მაჩვენებელი- 78%-ს აღწევს და სოფლებში -68%-ს. რესპოდენტთა 54% თვლის, რომ მათ უპროცენტოდ 300 ლარის სესხად აღებაც კი არ შეუძლიათ; რესპოდენტთა 54% კრედიტით სარგებლობს, ხოლო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში ეს რიცხვი 61%-ს აღწევს, რესპოდენტთა 88% -ს საერთოდ არ გააჩნია დანაზოგი (სოფლებში-94%-ს).

ეთნიკური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას განსაზღვრავს, მეტწილად, სხვადასხვა კულტურული თუ სოციალური სტერეოტიპების არსებობა. სამოქალაქო საზოგადოების შინაარსი ეფუძნება ვიწრო რელიგიურ და ეთნიკურ იდენტობას-მართლმადიდებლობასა და ქართულ ეთნიკურობას. შედეგად, საქართველოში ირღვევა რელიგიურ ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები (იხ. ევროპის საბჭოს კომისრის - დუნია მიატოვიჩის ანგარიში ადამიანთა უფლებების შესახებ. 2022წლის საქართველოში ვიზიტისას). საქართველოში ისლამის მიმდევართა უმრავლესობას წარმოადგენენ ეთნიკური აზერბაიჯანელები, რომელთა რიცხვი აღწევს 233 ათასს (საქართველოს მოსახლეობის თითქმის 7%-ს), ჩეჩენი-ქისტები 5697 ადამიანი (2014 წლის აღწერის თანახმად), ლეკები, თურქი-მესხები, ნაწილობრივ აფხაზები და ზოგიერთი ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფი (აჭარლები, მესხები). ამგვარად, რელიგიურ შეხედულებათა თავისუფლებების დარღვევას

საფუძვლად უდევს ეთნიკური საზომი. მაგალითად, მეჩეთების მშენებლობის ოფლებაზე მიღებული დისკრიმინაციული უარი და, აქედან გამომდინარე, მუსლიმური კულტურული მემკვიდრეობის უფლებებელყოფა. მუსლიმან აზერბაიჯანელთა საზოგადოება (თემი), ცდილობს მოიპოვოს მეჩეთის აშენების უფლება სოფელ ახლო-დალალოში (მარნეულის მუნიციპალიტეტი). ადგილობრივი ხელისუფლება, სხვადასხვა მიზეზით, ეწინააღმდეგება მშენებლობას. 2016 წლიდან დღემდე გრძელდება კონფლიქტი ბათუმის მუსლიმურ საზოგადოებასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის მეჩეთების მშენებლობის თაობაზე. არსებული მეჩეთი - ორთაჯამე - პატარაა, ყველა მომლოცველს ვერ იტევს. ამიტომ მუსლიმებს ღია ცის ქვეშ უწევთ ლოცვა. ბათუმის „მეჩეთის მშენებლობის მხარდაჭერმა საინიციატივო ჯგუფმა“ 12 ათასზე მეტი მხარდამჭერი მოქალაქის ხელმოწერა შეაგროვა და წარუდგინა აჭარის ხელისუფლებას, ბათუმის მერიასა და საქართველოს მთავრობას, მაგრამ ყველგან უარი მიიღო. მუსლიმთა თემის წამომადგენელთა თქმით, დღეს იმ ტერიტორიაზე, სადაც მათ სურდათ მეჩეთის აშენება, რამდენიმე ქრისტიანული ტაძარი შენდება და ფუნქციონირებს. ამ საკითხის დისკრიმინაციული გადაწყვეტილება აღიარა ბათუმის საქალაქო სასამართლომ (30.09.2021) და დაადასტურა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (13.04.2021), მაგრამ აზერბაიჯანელ მუსლიმთა ბათუმის თემს დრემდე არ მიუღია თანხმობა მეჩეთის მშენებლობის თაობაზე.

სოფელ მეხეში (ადიგენის მუნიციპალიტეტი სამხრეთ საქართველოში) არსებულ მეჩეთს 1957 წლის შემდეგ საწყობად, ბიბლიოთეკად და შემდეგ კლუბად იყენებდნენ, ხოლო 2007 წლიდან იგი ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაშია. 2014 წელს, ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, მეჩეთში ბიბლიოთეკა უნდა განთავსებულიყო. სოფლის მუსლიმთა თემმა ამ შენობის დაკონსერვების ან რესტავრირების თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტს. 2014 წლის ოქტომბრის ბოლოს, დაახლოებით 400-მა ადამიანმა გააპროტესტა ადმინისტრაციის ეს გადაწყვეტილება (ბიბლიოთეკად გადაკეთება). შედეგად, 14 ადამიანი დააპატიმრეს, მათ შორის ოთხი აცხადებს, რომ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისა და დისკრიმინაციული შეურაცხყოფის მსხვერპლნი გახდნენ. სასამართლოს განცხადებაში აგრეთვე ნათქვამია, რომ გამოძიების მსვლელობისას, პოლიციის იმ პირთა მიმართ, რომელთაც იძალადეს დემონსტრანტებზე, სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა, მიუხედავად მრავალი მოწმის ჩვენებისა.

2021 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დამნაშავედ სცნო საქართველო ოთხი მომჩივანი პირის მიმართ, დისკრიმინაციულ და სასტიკ მოპყრობაში (საქმე №54217/16. თეიმურაზ მიქელაძე და სხვანი საქართველოს წინააღმდეგ).

2022 წლის მარტიდან მოყოლობული, საქართველომ ათი ათასობით ლტოლვილი მიიღო: როგორც რუსეთის აგრესიას გამოქვეული უკრაინის მოქალაქეები, აგრეთვე რუსეთიდან წამოსული ოპოზიციონერები და აქტივისტები, რომლებიც მობილიზაციის რისკის ქვეშ იმყოფებიან და ეწინააღმდეგებიან ომს უკრაინაში. მაგრამ ასეთი მასიური ხასიათი საკმაოდ

მძიმედ ტვირთად დააწვა ქვეყნის სოციალურ და საგანმანათლებლო სისტემას. გაიზარდა ქსენოფობიისა და დისკრიმინაციის რისკებიც.

ბოშებისა და მათი მსგავსი საზოგადოებების მდგომარეობა

ბოშათა წარმომადგენლები - დომი და ლომი - საქართველოს მრავალდასახლებულ პუნქტში ცხოვრობენ, ძირითადად, ეთნიკურ უმცირესობასთან ერთად, ან იშვიათად - მცირე ჯგუფებად, კომპაქტურ დასახლებებში. მუდმივი შიდა და გარე მიგრაციის გამო ვერ ხერხდება მათი ზუსტი რაოდენობის დადგენა. Human Rights House -ი, ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით (2015), ასახელებს ბოშათა ჯგუფების 15 000 დარეგისტრირებულ წარმომადგენელს.,, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი”, რომელიც უკვე ათ წელზე მეტია ბოშების საზოგადოებასთან მუშაობს, გვატყობინებს, რომ უკანასკნელი ოფიციალური მონაცემების თანახმად, საქართველოში ცხოვრობს 604 ბოშა (იგივე მონაცემებს ვხვდებით სახელმწიფოს ანგარიშში გაეროს -KJIPD -წინაშე). თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციები თვლიან, რომ ეს რიცხვი შეიძლება 3000-ს აღწევდეს.

ბოშათა საზოგადოება საქართველოში ორი ძირითადი ქვეჯგუფისგან შედგება - ვლახები და კრიმები .კრიმები, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის მახლობლად, დაბა გელაურში და ბათუმში ცხოვრობენ. ვლახები კი აღმოსავლეთ საქართველოს სოფელ გაჩიანში , სოფელ ჩოეთში (ყოფილი ლენინოვკა), დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში (კახეთი) და თელავში. საქართველოს დედაქალაქ თბილისში სხვადასხვა ბოშური ჯგუფების წარმომადგენლები ცხოვრობენ (ძირითადად სამგორის რაიონში, ნავთლულის ბაზართან). ნაწილი მათგანი აფხაზეთიდანაა ლტოლვილი, მეორე ნაწილი კი ქუთაისიდან გადმოსული. პერიოდულად (სეზონურად) აქ სამგორიდანაც ჩამოდიან ბოშები.

სომხურენოვანი ჯგუფი - ლომ/ბოშა - ძირითადად ახალქალაქში სახლობს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ისინი თითქმის მთლიანად ასიმილირებულები არიან სომხებთან და ხშირად არც კი აღნიშნავენ ღიად თავიანთ განსაკუთრებულ იდენტობას.

დომის წარმომადგენლებს - უმთავრესად ქალებსა და ბავშვებს - ხშირად შეხვდებით საქართველოს ქალაქების ქუჩებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი). ენობრივი, კულტურული და რელიგიური კუთხით ისინი განსხვავდებიან რომისა და ლომის ჯგუფების წარმომადგენლებისაგან და ხშირად საკუთარ თავს ქურთებად წარმოადგენენ; სწორედ ამიტომ, რომა და ლომი არ აიგივებენ თავს მათთან. დომის წარმომადგენლები ცხოვრობენ მარნეულში , ბოლნისსა და დმანისში აზერბაიჯანელებთან ერთად (ისტორიული ბორჩალოს

პროვინცია, ამჟამად ქვემო ქართლი). პერიოდულად ჩამოდინ თბილისსა და ქუთაისში, ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში. ბევრი მათგანი საქართველოს მეზობელი, მოსაზღვრე აზერბაიჯანიდანაც ჩამოდის სეზონურად.

რომას ჯგუფები, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, ევრაზიის რეგიონში მცხოვრები მათი თანამემამულეების მსგავსად, სპეციფიური პრობლემების წინაშე დგანან: განათლების დაბალი დონე, უკიდურესი სიღარიბე, უმუშევრობა, ცუდი სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფა, მავნე ტრადიციული პრაქტიკა (წინასწარშეთანხმებული ადრეული ქორწინება, ბავშვთა ექსპლუატაცია, იძულებით მათხოვრობაში ჩართვა, მძიმე საშინაო შრომა, ჯართის შეგროვება, ბაზარში ვაჭრობა, ქალთა და გოგონათა მულტიდისკრიმინაცია. აი, როგორ აღწერს ამ ვითარებას ქობულეთელი რომა: “უმეტესი მოზარდების მშობლები მეუზოვებად და ბაზრის გამყიდველებად მუშაობენ. ყველანი ადრე გადიან სახლებიდან, მეუზოვეები დილის 5 საათზე უკვე ადგილზე უნდა იყვნენ, ხოლო მოვაჭრე ქალები, დილას ადრე ჯერ ბაზაზე უნდა მივიდნენ, საქონელი წამოიღონ და ამის შემდეგ ბაზარში დაბრუნდნენ. მათი უპირველესი ამოცანაა - ბავშვების გამოკვება და ამიტომ სკოლა აღარ არის პრიორიტეტული. ისინი მძინარე ბავშვებს სახლში მარტო ტოვებენ, რომლებიც არავითარ სკოლაში არ მიდიან. როდესაც ბავშვი სკოლაში აღარ დადის, ამას ყურადღებას არ აქცევენ. შედეგად, ჩვენი ბავშვები სკოლის პროგრამას ჩამოჩებიან და უკვე ვეღარ ეწევიან, ესეც იმ შემთხვევაში, თუკი მშობლებს გაახსენდებათ, რომ მათი შვილები სკოლაში სწავლობენ. ამიტომ ბავშვები, ნორმალურად მხოლოდ მე-4 კლასამდე სწავლობენ, მეტს აღარ. სწორედ ამიტომ გვაქვს უმუშევრობა. მხოლოდ მეუზოვედ შეიძლება დაასაქმონ ბოშა. ჩვენთან ბევრმა იცის მანქანის მართვა, მართვის მოწმობებიც აქვთ, მაგრამ არც ერთი მძღოლად არ მუშაობს, რადგან არ ასაქმებენ, იმიტომ რომ ბოშები არიან. ერთმა ბოშა ქალმა სტილისტობა, ისწავლა და სილამაზის სალონში მუშაობდა, მაგრამ ერთი წლის წინ სალონი დაიკეტა დფა სამსახური დაკარგა. ახლა უმუშევარია (ანტიდისკრიმინაციული ცენტრი „მემორიალი.“ ინტერვიუ).

ბოშათა საცხოვრებელი პირობები ქალაქებში უკეთესია. მაგალითად, თითქმის ყველა ბოშა, სამგორის რაიონში ნაჭირავე ბინებში ცხოვრობს, სადაც მათ გაზი, დენი და წყალი აქვთ. ქალებისა და მამაკაცების უმრავლესობა ბაზარში მუშაობს და ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და პარფიუმერიით ვაჭრობს. ნაწილი მამაკაცებისა თავს ჯართის შეგროვებით ირჩენს. პერიოდულად, ზოგი მამაკაცი კერძო სახლის მშენებლობაზე დასაქმებული. ქობულეთში ბევრი ბოშა მეუზოვედ მუშაობს. მიუხედავად ამისა, ქალები ხშირად მათხოვრობენ ან მარჩიელობენ.

რამდენიმე წლის წინ, ყველა თბილისში მცხოვრებმა ბოშამ გაიარა პასპორტიზაცია და, აქედან გამომდინარე, ახლა მათ შეუძლიათ სამედიცინო და სოციალური მომსახურებით ისარგებლონ. პასპორტის მქონე ახალგაზრდა ქალები ცდილობენ კლინიკებში იმშობიარონ,

თუმცა ბინაზე მშობიარობის შემთხვევებიც მრავლად არის და, შედეგად, კვლავ რთულდება მავშვთა დოკუმენტაცია.

რეგიონებში მცხოვრები ბოშების მდგომარეობა ბევრად უარესია, ხშირად მათ ელემენტარული საცხოვრებელი პირობები არ გააჩნიათ. ქუთაისში, ავანგარდში მცხოვრები ბოშების რამდენიმე ოჯახს არ ჰქონდა გაზი, დენი და წყალგაყვანილობა. ზოგიერთი სახლი არც არის რეგისტრირებული. ჩვენი რესპოდენტების თქმით, ადგილობრივი ხელისუფლება პასიურობს და არავითარ ინტერესს არ იჩენს ბოშების პრობლემების მოსაგვარებლად:

„მე ვცხოვრობ საკუთარ სახლში, რომელიც 15 წლის წინ ვიყიდე. თუმცა, ჩემი უცოდინრობის გამო, სწორად ვერ გავიფორმე. რამდენიმე წლის წინ ჩვენი დეპუტატი დახმარებას დამპირდა. მის თანაშემწეს ამ სახლის საბუთები და ის მინდობილობა გადავეცი, რომლითაც სახლი შევიძინე. მაგრამ ცოტა ხანში ის გაუჩინარდა და მასთან ერთად სახლის საბუთებიც. ასე რომ, სახლი კვლავ დაურეგისტრირებელი დამრჩა. ამიტომაც არ გვაქვს გაზგაყვანილობა, გათბობა, ზამთარში ღუმელით ვთბებით, დენიც არ გაკავთ. წყალი გვაქვს, რადგან ვეცოდებით და არ გვიწყვეტენ. რამდენჯერმე მივმართე ადგილობრივ ადმინისტრაციას, მაგრამ ვერაფერს გავხდი. უცოდინარი ვარ და ამიტომ ვერაფერს ვაგვარებ, ისინი კი არ მეხმარებიან“.

კვლავ დიდ პრობლემად რჩება ბოშა ბავშვებისათვის არასათანადო სასკოლო განათლება. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ კანონმდებლობაში ლეგალიზებულია მუხლი „საყოველთაო განათლების“ შესახებ და ეს კანონი ითვალისწინებს სავალდებულო საყოველთაო სასკოლო განათლებას ყველა ბავშვისათვის, ბოშა ბავშვები კვლავ საშუალო განათლების მიღმა რჩებიან. ამი მიზეზი, მეტწილად, ქართული ენის არცოდნაა. სახლში ისინი თავიანთი ეთნიკური ჯგუფის ენაზე, ან რუსულად საუბრობენ . ბავშვები არ დადიან სკოლამდელ დაწესებულებებში, მოსამზადებელ კლასებში და სკოლაში თავიდანვე მოუმზადებლები მიდიან, არ გააჩნიათ საბაზისო ცოდნა, არ ლაპარაკობენ ქართულად.

„მათთვის კომუნიკაცია რთულია, რადგან სახელმწიფო ენა არ იციან, არც საზოგადოება იღებს პასუხისმგებლობას მათზე და არც თავად ბოშები არ გრძნობენ პასუხისმგებლობას არავის მიმართ. მემგონი, რომ საზოგადოება არ იცნობს ბოშებს, არაფერი იციან მათი კულტურის შესახებ“ - ამბობს უფლებადამცველი ლეილა ცქიტიშვილი.

ამ პრობლემას გადაწყვეტდა სკოლამდელი განათლება, მაგრამ ბოშებს არ აქვთ ამის ფინანსური შესაძლებლობა. გარდა ამისა, ისინი შეჩვეულები არიან საშინაო განათლებას. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს ბოშების გარიყულობა საზოგადოებისაგან და მტრული დამოკიდებულებისა და ქსენოფობიის შიში:

„გუდარების ქუჩაზე მცხოვრებ ბოშებს (სამგორის რაიონი, ქ. თბილისი) ჩვენ დავპირდით შვილების საბავშვო ბაღში მოწყობას, მაგრამ ქართველი მშობლების მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წავაწყდით. მათ არ სურდათ თავიანთი შვილების გვერდით ბოშების ბავშვები ყოფილიყვნენ, იმდენად ბევრი სტერეოტიპია საზოგადოებაში“ - ამბობს უფლებადამცველი ეკა კობესაშვილი.

ზოგიერთ ქართულ სკოლაში არის ე.წ. „რუსული სექტორი“ - ანუ კლასები, სადაც სწავლა რუსულ ენაზეა, მაგრამ ბოშებისთვის ისინი მიუწვდომელია, სიშორის გამო. ბოშა ბავშვებთან მომუშავე მასწავლებლების თქმით, საქართველოში არ არსებობს სპეციალური კურსები, სადაც პედაგოგებს ასწავლიან უცხოენოვან ბავშვებთან ურთიერთობის სპეციფიკას, ამიტომ მათ არ იციან ასეთი ბავშვების სწავლების მეთოდი:

„ბოშა ბავშვი, გოგონა (პ.) ქუთაისიდან, 9 წლის, ორი წელი სწავლობდა №32 სკოლაში. მან ქართული არ იცოდა, ხოლო მისმა მასწავლებლებმა არ იცოდნენ რუსული. მათ არ ჰქონდათ სპეციალური მომზადება და ამიტომ ბოშა გოგონას ისევე ექცეოდნენ, როგორც ქართულენოვან ბავშვებს. გოგონას თქმით, მას ძალიან მოსწონდა სკოლაში სიარული და მასწავლებლებსაც ის ძალიან უყვარდათ, მაგრამ გაკვეთილზე არაფერი ესმოდა. მეორე კლასის შემდეგ, მშობლებმა ის №15 სკოლაში გადაიყვანეს, სადაც რუსულენოვანი სწავლება იყო, მაგრამ სწავლის დაწყებიდან 5 დღეში სკოლაში კარანტინი გამოცხადდა კოვიდის გამო და დაიხურა. გარკვეული დროით, ყველა სხვა ბავშვების მსგავსად, პ.-ს სახლში მოუხდა ყოფნა. შემდეგ მასწავლებლები თავად დადიოდნენ მასთან, მაგრამ რუსულის არცოდნის გამო, მალევე შეწყვიტეს სიარული. ამჟამად პატრინა სკოლაში აღარ დადის და ამიტომ ვერც კითხულობს, ვერც წერს და ვერც ანგარიშობს.

2015 წლის 17 აგვისტოს, მთავრობამ, № 1740 დადგენილების საფუძველზე, დაამტკიცა სახელმწიფო სტრატეგია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის შესახებ. ამავე დადგენილების საფუძველზე, შეიმუშავა 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი იყო სწორედ „უმცირესობისათვის ყველა საფეხურზე მყოფი ადამიანების სათანადო განათლების მიღების შესაძლებლობა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება . სახელმწიფო ენის ცოდნა ერთ-ერთ ძირითად საკითხად განიხილება სამოქალაქო ინტეგრაციის განხორციელების პროცესში. თუმცა, ბოშური მოსახლეობის შემთხვევაში, მხოლოდ სახელმწიფოს მცდელობა ენობრივი ინტეგრაციის პროცესში, საკმარისი არ აღმოჩნდა: ბოშა ბავშვების უმეტესობამ ვერ დაძლია ენობრივი ბარიერი და დაწყებითი კლასების დამთავრებისთანავე სკოლა მიატოვა.

ასე მაგალითად, 2022 წელს ჩვენ ვეწვიეთ სკოლებს (სოფ. გელაურის №5 სკოლა, ქობულეთი; რუსთავის №3 სკოლა; ქუთაისის №29 და №38 სკოლა, თბილისის № 29 სკოლა), სადაც ათეულობით ბოშათა შვილები სწავლობენ, მაგრამ მხოლოდ ერთეულები აგრძელებენ საშუალო საფეხურზე სწავლას. მასწავლებელთა თქმით, ჩვეულებრივ, პირველ კლასში ბავშვები დიდი ინტერესით მოდიან და ესწრებიან მეცადინეობას. პრობლემები მეორე

კლასიდან იწყება: უარს ამბობენ დასწრებაზე, საშინაო დავალებას არ ასრულებენ, დილაობით ეძინებთ. ხოლო ვინც აგრძელებს სკოლაში სიარულს, როგორც წესი, დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ.

სოფელ გელაურის № 5 სკოლაში (ქ.ქობულეთი) ამჟამად 60 ბომა ბავშვი სწავლობს. მათგან მხოლოდ 2 — მეთორმეტე კლასში. ორივე სტაბილურად და კარგად სწავლობს. ყველა დანარჩენი კი იშვიათად ესწრება მეცადინეობას და რთულად ითვისებს სასკოლო პროგრამას. ქალქ რუთავის მე-2 სკოლს დრუქტორის განცხადებითმეცხრე კლასამდე იშვიათად რჩებიან სკოლაში ბომა ბავშვები, რადგან, მათ მშობლების აზრით, „მთავარა ბავშვმა წერს და ანგარში იცოდეს. სოფელგაჩიანში ყოფიას, ბომა ბავშვებს ვკითხეთ სწავლობდნენ თუ არა ისინი სკოლაში. პასუხად მივიღეთ რომ მხოლოდ წყებით კლასები დამთავრეს და შემდეგ შეწყვიტეს სკოლაში სიარული. მსგავსი სიტუცია დგვხვდა ქუთაისის სკოლებშიც. 29-ე სკოლაში 12 ბომა ბავშვი სწავლობს: 2-მეორე კლასში, 1-მეოთხეში, 3-მეხუთე კლასში, 1-მეოთხე და 4-მეცხრე კლასში. 2021 წელს, მხოლოდერთა ბავშვმა დამთავრა სკოლა, 12 კლას. მე9 კლასი- არც ერთმა. წელს, მადლვლსებში არც ერთ ბომა ბავშვი არსწავლობს. სკოლს სასწავლონაწილს თმით გოგონები მეშვიდე კლასამდე რჩებიან სკოლაში, შემდეგ ისინი მშობლებს მიჰყავთ და ათხოვებენ. ბიჭები უფრო ხშირად დამთავრებენ 9 კლასს. ამასთან, მისი თმით, ყველ ბომა ბავშვს ძალან უჭირს სწავლა.

„ყოველწლიურად პირველ კლასში მოდის, დაახლოვებით, 6-10 სხვადასხვა ასაკის ბომა ბავშვი. სამწუხაროდ, როგორც კი ისწავლიან ანგარიშსა და წერას, გადიან სკოლიდან. გოგონები სადღაც მეექვსე კლასიდან აღარ დადიან, რადგან მშობლები მათ უმცროსი დებისა და ძმების მოვლას აიძულებენ. ბიჭები უფრო დიდხანს რჩებიან, თუმცა ყველა არა. ბევრი- მშობლების უსახსრობას იმიზეზებს — მათ არ აქვთ საკმარისი ფული, რომ შვილებს სასკოლო ნივთები ან ფეხსაცმელი უყიდონ. ზოგიერთს თავისი დაბალი ნიშნებისა რცხენია, რადგან ქართული ენა არ იციან და უჭირთ სწავლა. ბომა ბავშვების დამახასიათებელი თვისება — მგრძობილობაა. საკმარისია უმნიშვნელო უხეშობაც კი მასწავლებლის მხრიდან, რომ ბავშვი აღარ მოვიდეს სკოლაში და ძალიან განაწყენდეს. მაგრამ მე მჯერა, რომ ბევრი მშობლების უსახსრობის გამო არ დადის სკოლაში, მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ყველას უზრუნველყოფს სახელმძღვანელოებით. რვეულების, სასკოლო ჩანთებისა და ტანსაცმლის საყიდელი ფული ბოშებს არ აქვთ. (იმ მასწავლებლის ინტერვიუ, რომლის სკოლაშიც სწავლობენ ბომა ბავშვები. ანტიდისკრიმინაციური ცენტრი — „მემორიალი“).

სწავლის შეწყვეტის ერთ-ერთი მიზეზი, სხვა მიზეზთა შორის, რასაკვირველია, არის ბომა ოჯახების სიღარიბე; ამიტომ მშობლები ცდილობენ რაც შეიძლება ადრე ჩააბან შვილები საქმიანობაში, რომ ფული იმოვონ და განათლება კი გვერდზე რჩებათ. ხელისუფლება და სკოლის თანამშრომლები, ჩვეულებრივ, მშობლების ასეთ დამოკიდებულებას შვილების განათლებისადმი, ხსნიან ე.წ. ბოშური ტრადიციებით“.

თუმცა, ხელისუფლების ძალისხმევა — ბომა ბავშვები რაც შეიძლება დიდხანს დააკავონ სკოლაში - მაინც არასაკმარისად მიგვაჩნია. ჩვენ ჩავატარეთ სავსე გამოკვლევები და აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთ ქართულ სკოლას (№5 ქ.ქობულეთი) აქვს ინტეგრირებული სასკოლო პროგრამა და ბავშვებისთვის სპეციალური წრეები და კლასგარეშე მეცადინეობის გამოცდილება.

კლასგარეშე მეცადინეობა ცოდნის მიღებაში ეხმარება იმ ბავშვებსაც კი, რომლებიც უკვე აღარ დადიან სკოლაში. ბევრი ქობულეთელი ბომა ბავშვისთვის ამგვარი მეცადინეობა ერთადერთი საშუალებაა განათლების მისაღებად, რადგან მათ ქართული არ იციან და სასკოლო პროგრამას ვერ ითვისებენ. დანარჩენ სკოლებში ამგვარი პროგრამა (ინტეგრირებული) არ გააჩნიათ. სწორედ ამით არის გამოწვეული სკოლაში მოსიარულე ბომა ბავშვების ძალზე მცირე რიცხვი, რომლებიც მაღალ კლასში სწავლობენ.

ქუთაისის №5 სკოლა ჩართულია განათლების სამინისტროს ინტეგრაციულ პროექტში „საინტერესოდ ვატარებთ დროს“. ეს პროექტი გამიზნულია ეროვნული უმცირესობებისთვის და ითვალისწინებს 2022 წელს, სკოლის ბაზაზე, სხვადასხვა დამატებითი მეცადინეობის ჩატარებას.

დამატებითი მეცადინეობა — მათემატიკაში, ქართულ და ინგლისურ ენებში;

აგრეთვე საცეკვაო და საფეხბურთო კლუბები.

ამ მეცადინეობებს ესწრებიან როგორც ბომა, ასევე ქართველი ბავშვები.

2021 წლამდე პროექტში შედიოდა აგრეთვე თეატრალური კლუბი.

მოწვეული რეჟისორის დახმარებით, ბავშვებმა დადგეს თეატრალური წარმოდგენა და ორი წლის განმავლობაში ბათუმისა და ქუთაისის თეატრალურ ფესტივალებშიც მონაწილეობდნენ. ამ სპექტაკლს, კლუბის დახურვის მიუხედავად, ბავშვების სხვადასხვა დღესასწაულზე დღესაც აჩვენებენ.

ჩვენ მოვინახულეთ ეს სკოლა და გამოირკვა, რომ 10 მოსწავლე ვაჟიდან მხოლოდ ერთი ესწრება ძირითად სკოლის მეცადინეობას, დანარჩენები მხოლოდ საპროექტო მეცადინეობებზე დადიან. ჩვენი შეკითხვის — თუ რატომ აცდენენ ისინი ძირითად გაკვეთილებს — პასუხად მივიღეთ, რომ მათ არ გააჩნიათ სასკოლო ნივთები, ჩანთები და ფეხსაცმელი. გარდა ამისა, სკოლაში მისვლისას მათ არ იცოდნენ ქართული ენა და სასკოლო პროგრამის ძირითადი შინაარსი არ ესმოდათ. ხოლო მაღალ კლასებში კიდევ უფრო გაჭირდა პროგრამის ათვისება. ამიტომ, გადაწყვიტეს მხოლოდ იმ საპროექტო მეცადინეობაზე დასწრება, რომელიც რუსულ ენაზე ტარდება.

როდესაც ბომა ბავშვი თავს ანებებს სკოლაში სიარულს, ადმინისტრაცია ვალდებულია გაარკვიოს მიზეზი და მიიღოს ზომები მის დასაბრუნებლად. თუმცა, უნდა

აღინიშნოს, რომ მასწავლებლები ერიდებიან პასუხისმგებლობის აღებას და ურჩევნიათ არ გაახმაურონ ამგვარი შემთხვევები:

„საერთოდ, ჩვენ ვალდებულები ვართ, როდესაც ბავშვი წყვეტს სკოლაში სიარულს, პრველ რიგში შევატყობინოთ მშობელს; შემდეგ, თუ ეს არ იმოქმედებს, წერილს ვუგზავნით სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით. თუ ამასაც არ მოჰყვება რეაგირება, ჩვენ უკვე ვალდებულები ვართ მივმართოთ სოციალურ სამსახურს, ეს უკვე მათი საქმეა. მაგრამ ეს საკმაოდ მტკივნეული იქნება, როგორც მასწავლებლის, ისე სკოლის დირექტორისთვის, რადგან, ასეთ შემთხვევაში, დირექტორი ვალდებულია საყვედური გამოუცხადოს ბავშვის კლასის დამრიგებელს. ამას გარდა, განათლების დეპარტამენტი იწყებს დირექტორის „დამუშავებას“ და ეს კი არავის ჭირდება. ამიტომ, ასეთი შემთხვევები თითქმის არ გვაქვს. ერთი ბოშა ბიჭი გვყავდა, რომელიც დაიკარგა.. დიდხანს ეძებდნენ, ბევრი პრობლემა იყო. შემდეგ თბილისში იპოვეს, ქუჩებში მათხოვრობდა. ბევრნი მათხოვრობენ.“ (ქობულეთის N5 სკოლის დირექტორის მოადგილე. ანტიდისკრიმინაციული ცენტრი „მემორიალი“. 2022).

სკოლის თანამშრომლები ხშირად იმით იმართლებენ თავს, რომ ვერ აიძულებენ მშობლებს გააგრძელებინონ შვილებს სწავლა, რადგან მათ (მშობლებს) ეს არ აინტერესებთ, არ სჭირდებათ.

როდესაც ბოშა ბავშვი წყვეტს სწავლას, სკოლას ამაზე არანაირი რეაგირება არ აქვს. მშობლებს არ სურთ, რომ შვილებმა სწავლა გააგრძელონ და ჩვენ ხომ ვერ ვაიძულებთო — ასე ამბობენ. (ქუთაისის №29 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე. ანტიდისკრიმინაციული ცენტრის- „მემორიალის“ ინტერვიუ, 2022).

ბავშვთა დაცვის მუნიციპალური სამსახურიც საკმაოდ პასიურია ამ საქმეში:

„ბოშა ბავშვები ადრე წყვეტენ და აღარ აგრძელებენ მაღალ კლასში სწავლას. ამის მთავარ მიზეზად კი მუნიციპალიტეტების პასიურობა მიმაჩნია. ყველა მუნიციპალურ ოლქში უნდა ინახებოდეს მათ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სია, ხოლო სოციალური მუშაკები უნდა აკონტროლებდნენ ამ ბავშვების სკოლაში სიარულს. ბავშვი თუ სკოლაში არ დადის, სოცმუშაკმა უნდა დაარწმუნოს ის სიარულის აუცილებლობაში და გადაწყვიტოს პრობლემა. მაგრამ მუნიციპალიტეტები, როგორც წესი, ბოშებს ყურადღებას არ აქცევენ.“ (ქ. რუსთავის N3 სკოლის სასწავლო ნაწილი.)

ყოველივე ამის — ბოშა ბავშვების გაუნათლებლობის — შედეგი კი არის ბავშვთა ექსპლოატაცია და ადრეული ქორწინება. ჩვენ გამოვკითხეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ბოშები და დავასკვნით, რომ ბოშა გოგონათა ქორწინების ასაკი საშუალოდ 13-15 წელია. ქუთაისის თემის უფროსმა განაცხადა, რომ მათთვის 13-14 წლის გოგონას გათხოვება — ნორმად ითვლება.: „ჩვეულებრივ, გოგონები იშვიათად დადიან სკოლაში, რადგან ვთვლით, რომ სწავლა ქალის საქმე არ არის, ჩვენი ტრადიციის მიხედვით, მათ არ უნდა ისწავლონ. ისინი ადრე თხოვდებიან. მაგალითად, ჩემი ერთ-ერთი

შვილიშვილი 13 წლისა გათხოვდა და პირველი შვილი 14-ისას ეყოლა. ახლა 19 წლისაა და უკვე სამი შვილი ჰყავს. ასეა, ძირითადად, ყველა ოჯახში. ოჯახში ყველაზე ადრე გოგონა უნდა ადგეს, საუზმე მოამზადოს. მათ ეკრძალებათ შარვლით, ჯინსებით სიარული. არადა, სკოლებში სხვა გოგონები სულ შარვლებით დადიან. ჩვენს შვილებსაც მოუნდებათ მათსავით შარვლის ჩაცმა, ჩვენთვის კი ეს სირცხვილია.“ (ქ.ქუთაისის ავანგარდის რაიონის ბოშათა თემის მეთაურის ინტერვიუ. ანტიდისკრიმინაციული ცენტრი „მემორიალი“. 2022).

გარედან დახმარების გარეშე ბავშვები ვერ გაუმკლავდებიან ბოშათა საზოგადოების ზეწოლას:

„გოგონები, ჩვეულებრივ, ბიჭებზე ადრე წყვეტენ სწავლას, რადგან ან უმცროს დებსა და ძმებს უვლიან, ან მათ ადრე ათხოვებენ. ბიჭებიც, როგორც კი თვლასა და წერას ისწავლიან, ანებებენ თავს სკოლაში სიარულს. ჩვენ ჯართის შეგროვებაში ვეხმარებით მშობლებს, ან მოწყალეობას ვითხოვთ. მაგრამ გოგონები მაინც უფრო ადრე წყვეტენ სწავლას. ჩემი სკოლაში ყოფნის დროს მხოლოდ სამი ვსწავლობდით — მე, ჩემი ძმა და ჩემი და. დანარჩენები არ სწავლობდნენ.“ (ქ. ქუთაისის, სოფ. ავანგარდის ბოშათა თემის წევრი ბიჭი. ანტიდისკრიმინაციული ცენტრი „მემორიალი“, ინტერვიუ).

ქორწინება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108 მუხლის გათვალისწინებით, დაშვებულია 18 წლიდან, ან 16 წლიდან მეურვის თანხმობით. თუმცა ბოშათა საზოგადოებაში ამ ნორმას არავინ იცავს; სახელმწიფო ორგანოები კი, მართალია იციან ამის შესახებ, მაგრამ არანაირად არ რეაგირებენ.

ელენე პროშიკიანი, ერთ-ერთი აქტივისტი, რომელიც ბოშებს ეხმარებოდა პასპორტიზაციაში, გვიამბობს, რომ ადრეულ ქორწინებას მშობლები აიძულებენ ქალიშვილებს, მათ კი არ სურთ გათხოვება. „ორი შემთხვევა მქონდა ჩემს პრაქტიკაში, როდესაც ჩვენი საუბრების შემდეგ გოგონები სახლიდან გაიქცნენ, რადგან გათხოვება არ უნდოდათ. 18 წლის იყო და სწავლის გაგრძელება სურდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, ქალიშვილების ბედს მშობლები წყვეტენ“. ელენეს აზრით, მუნიციპალიტეტების დონეზე, ასეთ მშობლებთან უბნის პოლიციელები უნდა მუშაობდნენ. ისინი ვალდებულნი არიან სხვა სახელმწიფო ორგანოებსაც გააცნონ საქმის ვითარება. მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარი კავშირები მოუგვარებელია და ახალგაზრდა გოგონებმა, არც კი იციან ვის მიმართონ.

რეკომენდაციები

მიღებულ იქნას ეფექტური ზომები ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის პრაქტიკული იმპლემენტაციის საქმეში.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციის პრობლემას, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ, უკრაინაში რუსეთის აგრესიის შემდეგ;

არ დაუშვან მოქალაქეობაზე დაფუძნებული ქსენოფობიური და დისკრიმინაციული გამოვლინებები;

უზრუნველყოფილი იყოს ბავშვთა მშობლიურ ენაზე სწავლება (უკრაინულ, რუსულ ენაზე);

აღკვეთილ იქნას დისკრიმინაცია მომსახურების სფეროში.

დაუშვებელია რელიგიურ-ეთნიკური საზოგადოებების დისკრიმინაცია, მიეცეთ მუსლიმებს თავისუფალი აღმსარებლობის ნება.

მიღებულ იქნას კომპლექსური, პროაქტიული ზომები ბოშათა ჯგუფების, დომთა და მსგავსი საზოგადოებების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გაგრძელდეს საზოგადოების წევრთა პირადი დოკუმენტებით უზრუნველყოფა; ზოგადი განათლება ხელმისაწვდომი იყოს ყველა ბავშვისთვის; განისაზღვროს სამედიცინო და სოციალური დახმარების სტანდარტი; გარანტირებული იყოს ყველა ქალისა და ბავშვის მრავალმხრივი დისკრიმინაციისგან, ექსპლუატაციისაგან და მავნე ტრადიციული პრაქტიკისაგან სრული დაცვა. გაგრძელდეს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობა, რომლებიც ეხმარებიან ბოშათა დაუცველ ჯგუფებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბოშათა განათლების საკითხს: გაუმჯობესდეს ბოშათა შვილების სკოლაში სწავლების პირობები. სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი უნდა დადიოდეს სკოლაში და დაამთავროს არა მარტო დაწყებითი საფეხური, არამედ საშუალო საფეხურზეც უნდა გადავიდეს და მიიღოს, მინიმუმ, 9 კლასის განათლება; ხელი უნდა შეუწყონ ბოშებს საშუალო პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებაში, ხოლო ბავშვებს — სკოლამდელ და სასკოლო გარემოში ეფექტური ინტეგრაციის საქმეში; ყველა პირობა უნდა შეექმნათ ბოშათა ბავშვებს. სკოლამდელი და დაწყებითი სკოლების პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს და გაძლიერდეს ძალისხმევა ენის უკეთ შესწავლის საკითხში; განათლებისათვის ხელსაყრელი პირობები უნდა შეექმნათ ზრდასრულ ბოშებს, რომელთაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ მოახერხეს სწავლა.

